# გურიის ერობის მოამბე.

№ 18

ფასი 3 მანეთი

ერობის ყოველკვირეული

გაზეთი.

ოთხშაბათი 26 მაისი 1920 წელი ქ. ოზურგეთი.


## 26 მაისი.

ორი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ზღაპრულმა ამირანმა ბორკილები დალეწა და მსოფლიოს აუწყა ამბავი თავისი განთავისუფლებისა; ორი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საყვარელი სამშობლო თავისი ბატონი შეიქნა და მსოფლიოს წარუდგა, როგორც სწორუფლებიანი წევრი საერთაშორისო ოჯახისა. დიადია ასეთი დღე საზოგადოთ ერის ცხოვრებაში, დღე ეროვნული ბორკილების დამსხვრევისა, დიადია და მომხიბლავი, ვით მაისის დილის მზე, ვარდისფერ კაბადონზე რომ ოქროსფრად ამოგორდება და აფრქვევს გარშემო სასოებისა და სიხარულის, სიცოცხლისა და ნეტარების სხივებს, მაგრამ ორკეცად დიადი და ბრწყინვალეა დღევანდელი დღე ქართველი დემოკრატიისათვის, რადგან მან, ქართველმა დემოკრატიამ, ეროვნული თავისუფლების ფრთებს ქვეშ შესძლო გაეშალა აგრეთვე თავისი საკუთარი ბატონობაც და დაეყენებია საქართველო ერთად ერთ სწორსა და უტყუარ გზაზე, რომელიც მიიყვანს მას საერთაშორისო ძმობისა და თანასწორობის ქვეყანაში.

ბრძოლის ქარ-ცეცხლში და ზარბაზანთ გრიალში იშვა ჩვენი ქვეყნის თავისუფლება, როცა ერთის მხრით ფაშების რეაქცია, ხოლო მეორეს მხრით შინაური მტრები—მოსყიდული მოძმეები—გვითხრიდენ სამარეს, გვიწყობდენ რა აჯანყებებს აჯანყებაზე გარეშე მტრების—ოსმალების სასიხარულოთ და საკეთილდღეოთ. მაგრამ საქართველომ შესძლო შეეჩერებია გარეშე, ხოლო სასტიკათ დაემარცხებია შინაური მტერი თავისი დემოკრატიის გმირული ბრძოლით და დემოკრატიული მთავრობის ბრძნული პოლიტიკის წყალობით. მაგრამ საქართველომ შესძლო არა მარტო მტრებზე გამარჯვება, მან შესძლო აგრეთვე საუცხოვო სახელმწიფო აპარატის მოწყობაც, საუცხოვო მხედრობის შექმნა, აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება და ბევრი სხვა, ერთი სიტყვით შესძლო გამოეჩინა საოცარი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი და დაემტკიცებია კაცობრიობისთვის, რომ ქართველი ერი, საქართველო, ღირსია თავისუფლების, და საერთაშორისო ოჯახმაც იცნო ის, საქართველო, თავისუფალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

მართალია, საქართველოს ბედის გემი ჯერ კიდევ არ მისულა სამშვიდობო ნავთ-სადგურში, ვინაიდან საქართველოს ზოგ საზღვრებზე ეხლაც ულმობელი ომი სწარმოებს, მაგრამ ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ ეს ომი, ისე როგორც ყველა სხვა ომი, რომელიც კი განახლებულ, დემოკრატიულ საქართველოს თავისუფლების მტრების წინააღმდეგ ოდესმე უწარმოებია, ისე ეს ომიც სრული ჩვენი გამარჯვებით დასრულდება და კიდევ უფრო გაასალკლდევებს ჩვენი ერის გულს, გააფართოვებს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, გააასკეცებს ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცესა და ძლიერებას, აამაღლებს მის სახელს განათლებულ კაცობრიობის თვალში და გაგვხდის ღირსად იმის, რომ ერთ წელიწადს შემდეგ, მეორე ოცდა ექვს მაისს, ვიხილოთ საყვარელი სამშობლო გაფართოებული, გაძლიერებული, მშვიდობიან მუშაობაში ჩაბმული და იმედით და სიხარულით შემყურე თავისი ბრწყინვალე მომავლისა.

ამ ტკბილი ფიქრებით და იმედებით აღვსილი გილოცავთ შენ, სათაყვანებელო მშობელო ქვეყანავ, დღევანდელ ბედნიერ დღეს შენი მკვდრეთით აღდგომისა.

## საუბარი მკითხველთან.

ერობა და კოოპერაცია.

### VI.

ვინც იმას იტყვის, რომ კოოპერატივთა ქონების ერობის ხელში გადაცემა სასიფათო იქნებოდაო, ავიწყდება, რომ ერობა, როგორც მმართველი ორგანო, სახელმწიფო დაწესებულებაა, დემოკრატიული სახელმწიფოს ადგილობრივი ორგა-

ნოა და, თუ ერობა არ არის ღირსი ნდობისა, იმ შემთხვევაში თვით დემოკრატიული სახელმწიფოც არ ყოფილა ამის ღირსი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დემოკრატიამ თავის სახელმწიფოს უკვე ჩააბარა ეროვნული სიმდიდრის უმთავრესი წყაროები, როგორიცაა: ტყეები, მთა-მადნები, კურორტები, რკინის გზები, კულტურული მეურნეობანი, მოახდინა რა მათი სრული ნაციონალიზაცია. თუმცა ჩვეულებრივ დემოკრატიას მართლაც მიაჩნია სახიფათოდ დიდძალი ეროვნული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა, მაგრამ ეს იმ მოსაზრებით, რომ ის სახელმწიფომ თვით დემოკრატიის ინტერესების წინააღმდეგ არ გამოიყენოს. მაგრამ ეს ისეთს შემთხვევებში ხდება ხოლმე, როცა სახელმწიფოს საჭე ხელთ უპყრიათ გაბატონებულ კლასებს, რომელთა მიზანია დემოკრატიის დაჩაგვრა, მისი დასუსტება, მილიტრიზმის გაძლიერება და სხვა, მაგრამ ჩვენს სახელმწიფოს ხომ, რომლის ბატონ-პატრონი თვით დემოკრატიაა, ხსენებულ სახელმწიფოებთან საერთო არაფერი აქვს და, თუ, მიუხედავათ ამისა, ასეთს სახელმწიფოსა და მის თვით-მართველ ორგანოებს დემოკრატია უნდობლობას გაუცხადებდა, ეს ხომ იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ დემოკრატია ამით თვით თავის თავს გამოუცხადებდა უნდობლობას და მით დაამტკიცებდა თავის პოლიტიკურ მოუმწიფებლობას. ვინც ასეთს საბუთს მოიყვანს, თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ის ჯერ კიდევ არ ამაღლებულა დემოკრატიის ინტერესების შეგნებამდე, ანდა მას არც კი სურს ამაღლდეს.

ზოგნი იმასაც ამბობენ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ბედი საბოლოოთ ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა; ჯერ კიდევ არ ვიცით ხვალ რა ყორანი დაგვჩხავლებს თავს და, თუ სახელმწიფო ორგანოებს ასეთი ქონება-ჩავაბარეთ, უკანასკნელის დაკარგვასთან ერთად კოოპერატივების სახით ჩვენ ისეთს ციხე-სიმაგრეებსაც დავკარგავდით, რომელთა აღება ვერც შავბნელმა რეაქციამ შესძლო და ვერც რუსეთის ბოლშევიკურმა ანარქიამო. მაგრამ ასეთს ურწმუნო თომებს რომ დაუჯეროთ, მაშინ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ ყოველ-გვარ აღმშენობლობითს მუშაობაზე. ნათქვამია: მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტიაო, და ხალხიც, ქართველი დემოკრატია, ისევ განაგრძობს თავისი ქვეყნის ცხოვრების განახლების საქმეს.

ამ წერილების მიზანია გამონახოს ის პრინციპიალური ხაზი, რომელსაც უნდა ადგეს დემოკრატია კოოპერატიულ საკითხში ისეთი უაღრესად დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში, როგორიცაა საქართველოს რესპუბლიკა. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ მთელ ჩვენს საუბარს ამ საკითხის შესახებ მოკლე რეზიუმეს გაუკეთებთ:

ჩვენი კოოპერატივები არ ფარავენ მთელ ხალხს, მთელ საზოგადოებას, არამედ საზოგადოების მხოლოდ ერთ ნაწილს, ჯგუფს; იურიდიულათ ვალდებულნი არიან ემსახურონ მხოლოდ ამ ჯგუფის ინტერესებს და არავის არავითარი უფლება არა აქვს გარეშე წევრებისა კოოპერატივს რამეში პასუხი მოსთხოვოს. ხოლო თუ რასმე ისინი მთელი საზოგადოების სასარგებლოთ აკეთებენ, ეს მხოლოდ მათ კეთილ გუნებაზე ჰკიდია. ამიტომ კოოპერაცია არ შეიძლება ჩაითვალოს ფართო დემოკრატიულ დაწესებულებად. ერობა კი შედგენილია მთელი ხალხის, მთელი საზოგადოების მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, საიდუმლო და ფარული კენჭის ყრით და, როგორც ასეთი, ის იურიდიულათ პასუხის მგებელია მთელი საზოგადოების, მთელი ხალხის და აგრეთვე სახელმწიფოს წინაშე; ვალდებულია ყველას საკეთილდღეოთ მუშაობდეს და პირველ ყოვლისა საზოგადოების ღარიბეს ნაწილზე ზრუნავდეს, ამიტომ ის არის უაღრესად დემოკრატიული დაწესებულება.

კოოპერაცია ემყარება მხოლოდ თავის წევრთა, მაშასადამე საზოგადოების ერთი ნაწილის ინიციატივას. ერობა კი ჰფარავს მთელ საზოგადოებას და თავისი საქმიანობის ამა თუ იმ დარგის ასაყვავებლათ ემყარება საზოგადოების ყველა სასიცოცხლო ძალების სახით მთელი საზოგადოების ინიციატივას.

კოოპერაცია, როგორც გჯუფის ინტერესების მოსამსახურე და მთელი საზოგადოების წინაშე უპასუხისმგებლო, ადვილათ იძლინთება ვაჭრული სულით, ეშვება სპეკულიაციის მორევში და თანდათან შორდება დემოკრატიის ინტერესებს, ვინაიდან რამდენათაც ადრე შორდება დემოკრატიის ინტერესებს, იმდენათ მეტ სამსახურს უწევს ის თავის წევრთ. ერობას კი, როგორც მთელი საზოგადოების მიერ არჩეულს და მის წინაშე იურიდიულათ პასუხის მგებელს, არა თუ არ სურს საზოგადოების უმეტესობის ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედოს, არამედ მას არც შეუძლია უმეტესობის წინააღმდეგ წავიდეს, არ ძალუძს სპეკულიაციის მორევში შესტოპოს, ვინაიდან რასაც ის საზოგადოებიდან ღებულობს, ვალდებულია ისევ მთელ საზოგადოებას და უმთავრესად საზოგადოების ღარიბეს ნაწილს მოახმაროს.

კოოპერაცია ამა თუ იმ საზოგადოებრივ კულტურულ საქმიანობას ხელს ჰკიდებს მხოლოდ როგორც შესაფერი საშუალების მქონე ქველ-მოქმედი. ერობა კი ყოველ-გვარ საზოგადოების სასარგებლო საქმეებს, მათ შორის კულტურულ საქმეებსაც, ვალდებულია აკეთებდეს როგორც მთელი საზოგადოების რწმუნებული, მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე იურიდიულათ პასუხის-

მგზნებელი და, როგორც ასეთი, საამისო საშუალებითა და ხელის უფლებით აღჭურვილიც.

აქედან ცხადია, თუ საით უნდა დაიჭირონ კურსი ყველა იმ გულწრფელმა, იდეურმა კოოპერატორებმა, რომელთაც დემოკრატიის, საზოგადოების ამ უღარიბესი ელემენტების ინტერესები თავის საკუთარ ინტერესებად გაუხდიათ.

მ—რი.

## გამგეობის დადგენილებიდან:

— მიღებულ იქნას და წარედგინოს მორიგ საერობო კრებას:

— 1) აგრონომიული განყოფილების შტატები და 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვა;

— 2) ჩოხატაურის საერობო გიმნაზიის 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვა;

3) ნიგოითი მაზრაში ეტლთა, ავტომობილებისა და ტვირთის გადასაზიდ საშუალებათა მიმოსვლაზე.

— გრ. გოგელია განთავისუფლებულ იქნას ბუღალტერიის ინსტრუქტორის მოვალეობიდან 20 აპრილიდან 1920 წ. თანახმად მისი თხოვნისა.

— მარილი გაიყიდოს თემებზე სად. ნატანებში ფუთი ას სამოც (160) მან.

— 2 მაისისათვის მომზადების სამინისტროსთან განზრახულ თათბირზე ერობის წარმომადგენლად არჩეულ იქნას გამგეობის თავმჯდომარე სილ. ქანტურიშვილი.

— ჩოხატაურის საწყობისათვის დაქირავებულ იქნას სამი შენობა—ორი 27 აპრილიდან წელიწადში 8.000 მან. და მესამე 25 აპრილიდან, წელიწადში 5.000 მან.

— აკეთის სააგრარიო კომისიის მდივანი მიხ. ჯიბლაძე დროებით გადაყვანილ იქნას ჯურუყვეთის რაიონში იმავე თანამდებობაზე, აკეთის კომისიაშიკი მდივნის მოვალეობის ასრულება დროებით დაევალოს ამავე კომისიის მიწის მზომელს რუხაძეს.

— მიღებულ იქნას უსასტიკესი ზომები იმ სამხედრო ვალდებულთა წინააღმდეგ, ვინც ამ მობილიზაციის დროს არ გამოცხადდა თავის ვალდებულების მოსახდელად.

— დაინიშნოს ბუღალტერიაში მე-2 ხარისხის მოანგარიშეებად: იოსებ ვაშალომიძე და აკაკი მენაბდე; 3-ე ხარისხის მოანგარიშეებად: ივ. ურუშაძე, დიმ. მახარაძე, გრ. გორდელაძე და გრ. დათუნაიშვილი.—პირველი ხუთი 1 აპრილიდან, უკანასკნელი-კი 1 მაისიდან ა. წ.

— გრიგოლ კოპლატაძე დაინიშნოს ერობის არტელშჩიკად შტატით განსაზღვრული ჯამაგირით 13 მაისიდან ა. წ., გირაოდ მოეთხოვოს მას ქონება, ღირებული ასი ათას (100.000) მან.

— მიეცეს ერობისა და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებს სიმინდი ფუთი 50 მ. განსაკუთრებულ შემთხვევაში ჯამაგირის ნახევრამდე.

— იმავე მოსამსახურეებს მიეცეს შაქარი გირ. 30 მან., ბრინჯი 22 მან., დანარჩენი საქონელი კი გაიყიდოს ბაზრის ფასებზე 20% დაკლებით. ამ სურსათის მოსამსახურეთა შორის განაწილება მიენდოს სავაჭრო სამრეწველო განყოფილებას.

— მიღებულ იქნას ერობის სამსახურში და დაინიშნოს ტეხნიკური განყოფილების განკარგულებაში ინჟინერ—მეხანიკი ალექ. ფაკალოვსკი 3 მაისიდან 7.000 მან ჯამაგირით თვეში.

— ნინა ნაკაშიძისა გურიელის ასულს აღმოეჩინოს დახმარება უფასოთ 2 ფ. სიმინდის მიცემით.

— აღმოეჩინოს დახმარება გარდაცვლილი მასწავლებელთა თოიძისა და ქ-ნ ლომაძის ოჯახებს, პირველს 1.500 მან., ხოლო მეორეს 1.000 მანეთით.

— მიღებულ იქნას ერობის სამსახურში და დაინიშნონ მსახურად სამდივნოში პავლე მეფარიშვილი 26 აპრილიდან და გიორგი კონტრიძე 27 აპრილიდან ა. წ.

## თემთა დადგენილებიდან.

### კოხნარის თემი.

— გაწვეულ მეომრების ოჯახებს გაეწიოს ყოველგვარი დახმარება ყანების დამუშავებით, ფულით და სხვა. ამისათვის არჩეულ იქნა კომისია.

— ახლად შეძენილ, ეგრედ წოდებულ ოჩეში, სადაც წინა წლებში იმართებოდა პეტრე პავლეს სახელზე ყოველ წლიურად 10 დღიანი იარმარკა, დაარსდეს ყოველ კვირა დღეს ბაზრობა.

— ანჯელის საფონდო მიწებიდან წელს ჩვენ თემს მემამულემ კორძაიამ ჩამოაჭრა თავის საკუთრებათ 26 ქცევა მიწა; რადგან კოხნარის თემს მიწა ცოტა აქვს საფონდო და ხალხი ამ მხრივ უნუგეშო მდგომარეობაშია, დაჩქარებით ეთხოვოს სამაზრო ერობის გამგეობას, რათა ეს დანაკლისი რამდენადაც შეიძლება გამოასწოროს.

### ჯუმათის თემი.

— კასირის ჯამაგირი ამავე პირველ მაისიდან ხუთასი მანეთის მომატებით თვიურათ გადიდდეს —ათას მანეთამდე.

— თემისაგან ერთდროული დახმარება მიეცეს უკიდურეს ღარიბ-გაჭირვებულებს, სახელდობრ ათას ათასი მანეთი:

ა) ქვრივს ელენე ჩხარტიშვილისას, ბ) სოფ. კილაძისას, გ) ილარიონ მეგრელიშვილს, დ) იესე მეგრელიშვილს, ე) თედორე ქიქვიძისას, ვ) მატრონე ჩხარტიშვილისას, ზ) კონსტანტინე ჩხარტი-

შვილს, ც) მარინე რუსიძისას, თ) სოლომონ მგერელიშვილს ხუთას—ხუთასი მანეთი: ა) ქვრივს პახო გოგუაძისას, ბ) ერმილე გიგ. ჩხარტიშვილს გ) სიმონ ილარიონის-ძე ტუღუშს და დ) გაბრიელ სიმონიშვილს.

მამათის სკოლის სასარგებლოთ—ათასი მანეთი, რომლის მთელი ბალანსი უდრის ორმოცდა სამი ათას ორას მანეთს (43,200 მ.)

## სავეტერინარო განყოფილება.

ცირკულიარული დადგენილება.

ვინაიდან მოახლოვებულია საძოვარ მთებზე საქონლის გარეკის დრო, როგორიცაა—მაგ. გომის, ბახმაროს, სურების და ერკეთის საზაფხულო საძოვარი მთები, ამიტომ საჭიროთ ვრაცხ ისე, როგორც წინა წლებში იყო, საქონლის ჭირის გაჩენის წინასწარ სიფრთხილისათვის ევალებოდეს თემებს და ქალაქების გამგეობებს გამოუცხადონ მცხოვრებთ სავალდებულოთ, რათა მთებში მიმავალებმა იქონიონ თან მოწმობა საქონლების რაოდენობის აღნუსხვით ადგილობრივი თემებიდან და სადაც მოსახერხებელია, სავეტერინარო პერსონალიდანაც, რომ იმ უბანში, საიდანაც გამოდის საქონელი და თვით საქონლებზედაც არავითარი საქონლის ჭირი არ არსებობდეს. ამასთანავე ვცნობის თემებს, რომ მთაზე მიმავალი საქონელი, ჯოგი იქნება ეს თუ სხვა სოფლის საქონელი, გაიშინჯებიან შემდეგ ადგილებში: I ოზურგეთის რაიონში,—1) ნატანების ხიდთან—ოზურგეთის ახლოს. 2) ბახმაროს შესადგომში—სოფ. ვაკისჯვარში, 3) გომის მთისკენ მიმავლისთვის—სოფ. გომში, 4) ფქადიის მთიდან გამომსვლელებისთვის—მდინარე ბჟუჟის პირში—ლიხაურიდან გამოსავალს ოზურგეთის ახლო.

II ლანჩხუთის რაიონში—შიგ ლანჩხუთში და მის ახლო-მახლო უბნებში, სადაც ადგილობრივი ექიმი დაინახავს მოხერხებულათ.

III ჩოხატაურის უბანში კი—ჩოხატაურის და ხიდის-თავის უბნებში—შესაფერ ადგილებში, ხსენებულ პუნქტების ახლოს, საიდგანაც იწყება სურების თუ ბახმაროს მთის შესახვევი გზები.

ზემოხსენებულ ადგილებში ამისათვის იქნება სავეტერინარო პერსონალი, რომელიც გადასინჯავს ყველა მიმავალ საქონელს. რაც შეეხება საერთოდ საქონლის ჭირის წინასწარ სიფრთხილით ზომებს, იგივეა, რაც წინეთ იყო, არა ერთხელ, ახსნილი და ოფიციალურათაც გამოცხადებული.

სავეტ. განყ. გამგე ექ. კალანდარიშვილი.

# თემთა ცხოვრებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი-ვანის თემი.

II.

წინა წერილში ჩვენ გავარკვიეთ შეძლების და გვარად, რაც მოხდა სურების თემის გაყოფის გარშემო. ამ წერილში მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო დიდი-ვანის თემის ადგილმდებარეობას და ხალხის მეურნეობას. ახლად დაარსებული დიდი-ვანის თემი მდებარეობით საშინელ უსწორ-მოსწორობას წარმოადგენს. აქ იშვიათად შეხვდებით ვაკე ადგილებს გარდა ორიოდე მინდვრისა და მდინარე სუფსის ნაპირისა. გარდა ამისა აქ ადგილები ძალიან ფერდობებს წარმოადგენს. რაც შეეხება მიწას, წინეთ ყოფილა, რასაკვირველია, ნოყიერი, მოსავალს ძლიერ კარგს იძლეოდა, მაგრამ დღეს ჩვენი მიწები სურსათის თუ სხვა რისამე მოყვანის მხრივ თითქმის გამოუსადეგათ უნდა ჩაითვალოს. ადგილები „მომოდვილდნენ“ ორი მიზეზით: პირველი მიზეზია თვით თავისთავათ გამოფიტვა მიწის ზედა პირისა, მეორე—ნიაღვარი. ადგილების სიფერდეს თან, ერთვის ტყეების გაჩეხვა და მით ხელის შეწყობა ნიაღვრისთვის, რომელიც ფხეკს ნიადაგს და აუვარგისებს მას. ხშირია აქეთ მიწის შვავებიც. ერთი დიდი ნაპირი მიწა (უმეტესათ დიდი წვიმების დროს) ერთიანად მოსქდება ხოლმე და მიდის სუფსისაკენ თავდაღმა. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ძლიერ უშლის ხელს აქ მეურნეობის რაიმე დარგის გაჩაღებას. გლეხს სამუდამო საქმისათვის ამ სფეროში თითქმის ვერ მოუკიდია ხელი, რადგან არ იცის—შეინარჩუნებს თუ არა მას ნიაღვარი, თუ შვავი ამა თუ იმ გაშენებულ ადგილს. მეურნეობის მთავარ საგანს აქ შეადგენს: სიმინდი, ღომი, თუთუნი, ლობიო. აქა-იქ აშენებენ თხილს, გაშენებულია ვენახი „ადესა“, რომელიც ამ ბოლო ხანს თითქმის ნაყოფს აღარ იძლევა. ამის მიზეზია საერთოდ უამინდობა აყვავების დროს და მოუვლელობა. ამ ჯიშის ვაზის გადასვლის კითხვა, ჩემის აზრით, ჯერ არ დამდგარა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ხალხი მისდევს მეაბრეშუმეობასაც, მაგრამ რამოდენიმე წელია, სხვა და სხვა მიზეზების გამო, არც იმას მოაქვს დიდი სარგებლობა.

მე მოვიხსენიე მიწის მდებარეობა და მისი უვარგისობა (სინოყივრის მხრივ); თუ ამას ზედ დაურთავთ მიწის სივიწროვეს, უქონლობას, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა მდგომარეობაში იქნებიან თემის მცხოვრებნი სურსათის მხრივ და, მე ვამბობ, რომ ამ მხრივ ჩვენი თემი დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაშია. სურსათი საყოფი არ მო-

უდის მესამედსაც, დანარჩენებს მოუდის 3—4—5 თვის სარჩო. საშინელი მდგომარეობაა მიწის დამუშავების დროს (რაოდენობის მხრივ). ეს უვარგი სიმიწა გლეხი იძულებულია ბევრი დათესოს და ზედ მოლოდინის ნახევარიც არ მოუდის. გარდა ამისა ჩვენი თემის მცხოვრებნი ეძებენ სახნავ-სათესს ქვევით, ჭალებში, სადაც შარშან რამოდენიმე მოსახლეს ჰქონდა თითო ქცევა მიწა. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ერობა წელს კიდევ უფრო მომეტებულად მიაწვდის საყანე მიწას ამ უმიწა-წყლო ხალხს და მით რამოდენიმეთ უზრუნველ ყოფს მის გაჭირვებულ ცხოვრებას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უკუღმართ პირობებს ზედ ერთვის კიდევ ერთი რამ, რომელიც ხალხს ფიზიკურათ ასუსტებს. (ვლაპარაკობ განსაკუთრებით ფილტვების სისუსტეზე), რომელიც სრულიად არ შეეფერება იმ საუკეთესო ჰავას, რომელიც ამ თემს აქვს. ამ ერთ მთავარ საკითხთაგანში შედიან სხვა და სხვა კითხვებიც და მათზე მკითხველს მოვახსენებ შემდეგ წერილში.

ადგილობრივი.

## † იოსებ თავზერიძე.

ხვალ ექვსი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ბოროტმა ადამიანებმა მოჰკლეს იოსებ ქრისტეფორეს-ძე თავზერიძე. წესიერების, თავისუფლების და სამშობლო საქართველოს მტრებმა, რომელნიც სასტიკ წინააღმდეგობას ხედავდენ იოსებში, ერთის მხრით მიზანს მიაღწიეს: ის სამუდამოთ ჩამოაშორეს, დაადუმეს. სიცოცხლით სავსე 27—28 წლის ვაჟკაცი, მშვენიერი იოსები, შეიქნა ცივი და ნესტიანი ქვეყნის მცხოვრები. მძიმე დანაკლისია გულის ტკივილით მოგისამძიმრებთ, ამხანაგებო, იოსების საერთო მეგობრებო! ჩვენ ვიცნობდით იოსებს და ბუნებრივია ჩვენი მწუხარებაც. კერძოთ მე, მისი ბავშობის მეგობარი, ამ უკანასკნელი 7—8 წლის განმავლობაში იშვიათად ვნახულობდი ხოლმე მას, მაგრამ მაინც შემთხვევა მქონდა გამეგო, რომ იოსები, სადაც იყო, სოფელში თუ ქალაქში, ყველგან ადამიანობდა.

ერთხელ სოფლის კრებაზე ვნახე. სოფლის კოოპერატივის გამგეობას მისი უნიათობით საზოგადო საქმისთვის ზარალი მიეყენებია და ხალხიც ამ საგანზე შეკრებილიყო. თქვენ უნდა გენახათ ამ კრებაზე, როგორ ულმობელი იყო იოსები მათ წინააღმდეგ, ვინც საზოგადო საქმეში არ სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. პირდაპირობა, გამბედაობა, მიუდგომლობა, გულწრფელობა და საზოგადო საქმის თავდავიწყებამდე სიყვარული, აი მოკლეთ იოსების დამახასიათებელი თვისებანი.

როდესაც იოსები ხიდისთავის თემის გამგეობაში იქნა მოწვეული (თავმჯდომარის ამხანაგათ), მას შემდეგ ის განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა საქართველოს სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ ამხედრებულ უგვარ ელემენტების მიმართ. ამხანაგები კიდეც ამბობდენ: „ფიცხია აი ბიჭი და, ვინ იცის, რა დაემართება“.

8 ნოემბერს 1919 წ. თემის საქმეების გამო იოსები ოზურგეთში ჩამოვიდა; გზაში წვიმა მოსწრებოდა და ძალიან დასველებულიყო, გაციებულიყო. იმავე დღეს ხიდის-თავში გაბრუნდა და დაღალულს, დაქანცულს იქ უნდა მოესვენებია, მაგრამ სად ეცალა მოსვენებისათვის, როცა მას ყურში ჩასცდა, რომ ჩოხატაურში... გაეშურა იოსები ჩოხატაურში, გადაეღობა ამხედრებულ ბრბოს და მათ მიერ სამშობლოს გულში დამიზნებულ ლახვარს საკუთარი მკერდი მიუშვირა. მართალია ამ პროცედურას ის თანვე გადაყვა, მაგრამ მტრის ლახვარიც იქვე მოიჩლუნგა.

იოსები აღარ დაბრუნებულა თავის სოფელში: ის მოიტანეს მხოლოთ. მისი სისხლი დაიღვარა, უმანკო სისხლი. სისხლი ხომ საუკეთესო პატივია ნიადაგის განაყოფიერებლათ. საქართველოს ნიადაგსაც არაჩვეულებრივი სასუქი ესაჭიროება, იმიტომ რომ საქართველომ უნდა აღმოაცენოს ცხოვრების მცენარე და მისი ნაყოფი—თავისუფლება კი მალე ქართველთ შთამომავლობამ უნდა იგემოს. იოსებიც ამ საქმისთვის მოიხმარა საქართველომ. დაიხსოვნეთ ეს ამხანაგებო, და, როცა რომელიმე თქვენგანი იმ სანატრელი საყოფით დასტკბება, მოიგონოს, რომ თუ იოსებისთანების სისხლი არა, სხვაფრივ გამოფიტულ ნიადაგზე ის მცენარე ვერ გაიხარებდა.

ამხანაგო იოსებ! უკანასკნელ გამოსვლების დღეს ვერ გინახულე პირადათ. ვერც შენი სახლკარი ზენობნის ეკლესიის გალავანში ვნახე ამ ექვსი თვის განმავლობაში. შესაძლებელია, მალე ისევ შევიყაროთ.

ხომ იცი, განსაკუთრებული დრო ქართველ ახალგაზრდობას მძიმე ხარკს აკისრებს! ამ ექვსი თვის წინეთ შენც აღგზნებული იყავი წმიდა ზრახვებით, მაგრამ ერთი შემთხვევა და... ყველაფერი გაჰქრა დაუბრუნებლათ.

განისვენე მშვიდათ!

საქართველოს ბედი გაინტერესებს?

გაიგებ. შიკრიკი, ცნობის მომწოდებელი ხშირათ გამოეშურება მალე.

ი. ბ.

## გურიის თემთა წარმომადგენლების საგანგებო ყრილობა
### 9 მაისი 1920 წ.

ყრილობა გაიხსნა დილის 12 საათზე სამაზრო ერობის შენობაში.

დაესწრნენ ოცი-ერთი წარმომადგენელი შემდეგი

თემებიდან: მიქელ-გაბრიელის, საჯამია-სერის, ზემოხეთის, აცანის, შუხუთის, ნიგოითის, ჰანჭათის, ბახვის, გურიანთის, ნიგვზიანის, ხვარბეთის, აკეთის, ზემო-თაგ-სურების, დიდი ვანის, ლუაბზუის, ოზურგეთის, შემოქმედის, ხიდისთავის, ხევის, ჯურუყვეთის, ძიმითის, შუა-სურების, ამაღლების, ჩიბათის, ჩოჩხათის, ლიხაურის, სუფსის, ერკეთის, ჩოხატაურის, ჯუმათისა და ნაგომრის.

განსახილველია საკითხები:

1) მიმდინარე მომენტი.

2) მობილიზაციის მიმდინარეობა.

3) ჯარში და გვარდიაში გაწვეულთა ოჯახების დახმარება.

მომენტზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ლეო რუხაძე, რომელიც დაწვრილებით ეხება როგორც საქართველოს დღევანდელ საგარეო და საშინაო მდგომარეობას, ისე ბოლშევიკურ რუსეთის შინაურ წყობილებას.

მოხსენების შემდეგ ყრილობა ერთხმათ ადგენს შემდეგ ნაირათ-მიესალმოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას, მთავრობას, მხედრობას და სახალხო გვარდიას:

„დამფუძნებელ კრებას: გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა სალამს უძღვნის რესპუბლიკის უზენაეს ორგანოს, დამფუძნებელ კრებას, და აღუთქვამს მას სრულს დახმარებას მის ბრძნულ მუშაობაში. ყრილობას სწამს, რომ დამფუძნებელ კრების გარშემო შეკავშირებული ქართველი ხალხი უძლეველი გამოვა ყოველ გვარ დაბრკოლებიდან და უკუაგდებს ჩვენზე მუქარით წამოსულ უხეშ ძალებს; გაუმარჯოს ხალხის წარმომადგენლებს!.“

რესპუბლიკის მთავრობას: „გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვამს თავდადებულ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში: გურია სწამს, რომ ეხლანდელი მთავრობის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი გადალახავს ყოველ გვარ დაბრკოლებას და საქართველოს ეროვნული დროშა წითელ დროშასთან ერთად ძირს არ დაეშვება.“

სამხედრო მინისტრს: „გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა სალამს უძღვნის სამშობლოს დამცველ მხედრობას და აღუთქვამს მას თავდადებულ მუშაობას ზურგის გასამაგრებლათ. ოჯახის საუკეთესო შვილები ფრონტზე გაემგზავრნენ და მათ ოჯახებს თემები უწევენ პატრონობას. არც ერთი მიწის ნაჭერი დაუმუშავებელი არ დარჩება. ამ მხრივ, მათი ოჯახები და სამშობლო უზრუნველ-ყოფილია, გაუმარჯოს მხედრობას!“.

გვარდიის მთავარ შტაბს: „გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა სალამს უძღვნის სახალხო გვარდიას და აღუთქვამს მას თავდადებულ მუშაობას ზურგის გასამაგრებლათ. ოჯახის საუკეთესო შვილები ფრონტზე გაემგზავრნენ და მათ ოჯახებს თემები უწევენ პატრონობას. არც ერთი მიწის ნაკვეთი დაუმუშავებელი არ დარჩება. ამ მხრივ მათი ოჯახები და სამშობლო უზრუნველყოფილია, გაუმარჯოს გვარდიას!.“

მეორე საკითხის—მობილიზაციის მიმდინარეობის-შესახებ ყრილობას მოახსენებს ერობის გამგეობის თავმჯდომარე და დაასკვნის, რომ თემებმა უნდა მიიღონ გადაჭრილი ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მობილიზაციას გაურბიან.

ყრილობა ადგენს: მიღებულ იქნას სასწრაფო და გადაჭრილი ზომები მობილიზაციის უნაკლოთ ჩასატარებლათ.

მესამე საკითხის—ჯარსა და გვარდიაში გაწვეულთა ოჯახების დახმარების შესახებ — ყრილობა ერობის თავმჯდომარის ს. ჰანტურიშვილისა და გამგეობის წევრი კ. ქავთარაძის მოხსენებათა და მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ადგენს:

1) ომში გაწვეულთა ყანების დამუშავების შესახებ მთავრობის დადგენილების ცხოვრებაში სასწრაფოთ გატარება ევალება თემის გამგეობებს.

2) ამ მიზნით თემის გამგეობა თემის ყოველ სოფელში აწყობს სამ-სამი კაცისგან შემდგარ შრომის კომისიებს.

3) სასოფლო შრომის კომისიებს ევალებათ: ა) შედგენა სიისა იმ ჯარის-კაცთა და გვარდიელთა, რომელთა ოჯახები მათი გაწვევის შემდეგ უმუშახელოთ დარჩნენ; ბ) ცნობაში მოყვანა მათი საყანე მიწებისა; გ) აღრიცხვა ამ სოფელში მუშა ხელისა და აგრეთვე არა მიწის მუშა შეძლებულ პირთა და მათი გაწესრიგება ომში გაწვეულთა საყანეების დასამუშავებლათ რიგ-რიგობით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : არა მიწის მუშა შეძლებული პირი იხდის ფულს მისმიერ დასამუშავებელ ხვედრ მიწის რაოდენობის მიხედვით.

დ) სასოფლო შრომის კომისია ყოველ კვირეულად აწვდის ცნობას მუშაობის მიმდინარეობის შესახებ თემის გამგეობას.

ე) თემის გამგეობა-კი ყოველ ორ კვირაში მოახსენებს სამაზრო ერობის გამგეობას საქმის მიმდინარეობის შესახებ.

4) ყოველ თემში დაარსდეს აგრეთვე მეომართა დამხმარე კომიტეტი თემის გამგეობის თავმჯდომარის მონაწილეობით.

ამ კომიტეტის ვალდებულებას შეადგენს ფულით თუ ნატურით დახმარება, ომში გაწვეულთა გაჭირვებულ ოჯახებისათვის. ეს დახმარება იგზავნებოდეს კომიტეტის მიერ თემის ფარგლებში ოჯახის მატერიალურ მდგომარეობის მიხედვით.

კომიტეტის მიერ შეგროვილი თანხის სამი მეოთხედი რჩება ადგილობრივათ და ანაწილებს მას თემის გამგეობა. ერთი მეოთხედი კი იგზავნება სამაზრო ერობაში.

დასასრულ ყრილობა ისმენს სამაზრო ერობის გამგეობის მოწოდებას გურიის თემებისადმი, წაკითხულს თავმჯდომარის მიერ, აგრეთვე განცხადებას მეაბრეშუმეების ინსტრუქტორის მ. ქუთათელაძის აბრეშუმის თესლის გავრცელების შესახებ და იხურება ნაშუადღევის 3-საათზე.

## ოზურგეთის სამაზრო საერობო მეოთხე მორიგი ყრილობა.

(მოკლე ანგარიში.)

გაგრძელება *)

ბ) სწავლა განათლების საქმის შესახებ მაზრაში მოკლე მოხსენებით გამოდის გამგეობის წევრი — სასკოლო განყ. გამგე — ვლ. კვირკველია. ის ამბობს, რომ სასკოლო განყოფილება ჯერ-ჯერობით ვერ ამართლებს თავის ნამდვილ დანიშნულებას; მის დანიშნულებას შეადგენს არა მარტო სკოლებზე ზრუნვა, არამედ ღლევანდელი მომენტი აუცილებლათ მოითხოვს, რომ განყოფილებამ მოაწყოს სკოლის გარეშე სწავლება და საზოგადოთ იზრუნოს ხალხში კულტურის შეტანაზე. მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით ამის საშუალება არა გვაქვს, რომ ჩვენ სკოლები ნავიბარევი სრულიათ განადგურებული, იმათ აღდგენას და სათანადო სიმაღლეზე დაყენებას დიდი შრომა და ხარჯები დასჭირდა; არ გვყავდა საკმაო კონტინგენტიც მომზადებულ მასწავლებელთა; მატერიალური მდგომარეობაც მასწავლებლების უკიდურესი იყო. განყოფილება მუდამ-დღე იმაზე ზრუნავდა, რომ მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. ამ მიზნით მრავალ-ჯერ აღძრა შუამდგომლობა გამგეობამ მთავრობის წინაშე და თავის მხრითაც დაუმატა ჯამაგირზე ცოტა რამ, მაგრამ რამდენიმე თვეს შემდეგ, როცა მთავრობამ ცოტათი გააუმჯობესა მასწავლებლების მდგომარეობა, იძულებული შეიქნა უსახსრობის გამო ეს დამატება მოეხსნა. გამგეობამ უკვე მოაწესრიგა აგრეთვე მასწავლებელთა ჯამაგირებით თავის დროზე დაკმაყოფილების საქმე: გადიოდა თვეები, რომ მასწავლებლები ჯამაგირებს ვერ ღებულობდენ. ეხლა-კი გამგეობის ცდით ასეთს გარემოებას ადგილი აღარა აქვს. დაბალი სკოლები დღეს საკმარისადაა გურიაში, მათი რიცხვი 160-მდერის, სკოლა თითქმის სოფელშია. გამგეობა მთავრობის კრედიტს ამ სკოლებზე ბევრს ამატებს თავის საშუალებიდან. თავის ხარჯზე ინახავს რამდენიმე კომპლექტს და აგრეთვე ხელ-საქმისა და სოფლიური განყოფილებებს ამ სკოლებში.

გურიაში 23 უმაღ. დაწყებითი სასწავლებელია. ამათში 21-ს ინახავს ერობის გამგეობა გასული წლის ენკენისთვიდან, მათი შენახვა ბევრი უჯდება ერობას, მთავრობა ამ სკოლებზე, გამგეობის შუამდგომლობის თანახმათ, ავრცელებს მომატებებს დეკრეტების თანახმათ; ძირითად ჯამაგირებსა და სხვა სასკოლო — სამეურნეო ნივთებს ... იყიდის ერობის გამგეობა.

რომ რამდენიმეთ მაინც შევამსუბუქებია მდგომარეობა მომზადებული სახალხო მასწავლებელთა უქონლობის მხრით, გამგეობამ გასულ წელს მოაწყო საზაფხულო პედაგოგიური კურსები, რომლებმაც მისცა გურიის სკოლებს 80 მომზადებული მასწავლებელი, ამათში რამოდენიმე ახალი, დანარჩენიკი — ყოფილი მასწავლებლები. გამგეობას ამ ზაფხულშიაც აქვს გადაწყვეტილი 3 თვიანი კურსების მოწყობა, რაც ყრილობას მოხსენდება ხარჯთაღრიცხვის წესით.

ჩვენ აგრეთვე მოვაწყვეთ რევიზიის საქმეს. სკოლების მთავარი ინსტრუქტორი ახდენს ამ რევიზიას, მაგრამ არა მარტო რევიზიას, არამედ ის რევიზიის შემდეგ ადგილობრივად თემებში აწყობს მასწავლებელთა მოკლე ვადიან კურსებს, რასაც ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს და ნაყოფიც მოიტანა.

გამგეობამ აღძრა აგრეთვე შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მაზრაში დაარსდეს საოსტატო სემინარიები — ოზურგეთში ძირითადი და ლანჩხუთსა და ჩოხატაურში პარალელური კლასების სახით, რაზედაც მას მთავრობისგან პრინციპიალური თანხმობა უკვე აქვს.

ჩვენ მივიღეთ ჩვენს განკარგულებაში ჩოხატაურის კერძო გიმნაზია და მით უზრუნველვყავით მისი არსებობა.

შეიძლება ითქვას, რომ მაზრაში ოთხ-წლიანი საყოველთაო განათლება თითქმის განხორციელებულია, არსებული დაბალი სკოლები თითქმის ყველა სასკოლო ასაკის ბავშვებს იტევს. მეორე ოთხწლიანიც, იმედი გვაქვს, ადრე გვექნება, ამ ნიადაგზე ვაწარმოებთ მუშაობას, ვარკვევთ სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვების რაოდენობას, რომ ენკენისთვიდან მათაც მივსცეთ საშუალება სწავლისა.

ამ ჟამათ გამგეობის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია სკოლის გარეშე განათლების მოწყობაზე, ეს არის დღეს ცენტრი ჩვენი მოქმედებისა.

გ) ტეხნიკური განყ. მოქმედების შესახებ ყრილობას მოახსენებს გამგ. წევრი შ. ჭოჭუა. ის ამბობს, რომ ტეხნიკური განყოფილების ორგანიზაცია დაიწყო მხოლოდ გასული წლის მაისში. მთელი შტატი შესდგებოდა ინჟინერისა და ტეხნიკისაგან. აგრეთვე აშკარა გახდა, რომ არსებული შტატი ვერ დააკმაყოფილებდა იმ აუარებელ მოთხოვნილებას, რომელიც მოსდიოდა განყოფილებას მაზრიდან. ამიტომ ჩვენ შტატი გავადიდეთ, მაზრაც დავყავით სამ უბნად: ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის, და თვითეულ ამ უბანში გავიჩინეთ თითო ტეხნიკოსი ამ გვარათ, ტეხნიკური განყოფილების შტატი შესდგებოდა: 1 ინჟინერის, 1 სამაზრო და 3 რაიონული ტეხნიკოსისაგან და 1 საქმის მწარმო-

*) იხ. № 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

გბელი—მხაზავისაგან. უმთავრესად მუშაობა სწარმოებდა საგზო-სამშენებლო დარგში, ხდებოდა ყოველგვარი გამოკვლევა-შესწავლა, მუშავდებოდა ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტები გზებისა, ხიდეებისა, სასწავლებლების შენობებისა, ტელეფონის ქსელის მოწყობა, ზომების მიღება თვით ადგილობრივ გზების შესასწორებლად, მდინარეების კიდე-ნაპირების გამაგრება, წყლის გადაგდება, წისქვილების მოწყობა, მდინარეების მოწესრიგება და სხვა.

განსაკუთრებით ტეხნიკური განყოფილების მუშაობა უფრო ნიშანდობლივი იყო მაზრაში. მუშაობა უმთავრესად სწარმოებდა გზების გასაკეთებლად, რომლებსაც მცხოვრებლები ასრულებდენ ნატურალური შრომით; პარალელურად სწარმოებდა მუშაობა ტეხნიკური დოკუმენტების გამოსაკვლევად და შესადგენად.

ამ ჟამად დაწყებულია მუშაობა შემდეგ გზებზე: აცანის და აკეთის (გათხრილი), გამოკვლეული და შედგენილია გეგმა ჩოჩხათ-გურიანის გზის. ჩოჩხათის თემში, შედგენილია პროექტი ხორეთის სასოფლო გზის ( ვერ.), მომხდარია წინასწარი გამოკვლევა ჯუმათის გზის (23); გამოკვლეულია და შედგენილია გეგმა კოხნარის (საჰამიას-სერის) გზის, ჩოხატაურის გზატკეცილზე გამოსვლით; მომხდარია წინასწარი გამოკვლევა ამაღლება-ჩოხატაურის გზისა; დაწყებულია გამონახვა და გამოკვლევა ჯიხეთის-გზის (ქვანი-სამება ხიდისთავი), დაწყებულია გამონახვა და გამოკვლევა სურების გზის; გამოკვლეულია და შედგენილია პროექტი ფამფალეთ-მთის პირი—გვიმრათი—საზღვარი—ბახვის თემის გზის (9 ვერ.); მომხდარია გამოკვლევა მთის-პირი—ვანის-ქედის გზის (3 ვერ.); გამოკვლეულია და ეძლევა ხელმძღვანელობა გზებს: სუფსა—ორმეთი, ოფრეთი-სესკური, კონჭკათი—გურიანთა—ციხის-ფერდი კახური—ოზურგეთი (25 ვერ.) მიცემულია ხელმძღვანელობა გზის გაკეთებაზე მერია—ხვარბეთი; მოხდენილია წინასწარი გამოკვლევა ლანჩხუთ-ჯურუყვეთ—ყელის გზით, ლანჩხუთი—ჯუმათის მონასტერი—ოზურგეთის გზის; მოხდენილია გამოკვლევა გომახური—ზემო ჩიბათი, ჩიბათი—ლანჩხუთის გზის; წარმოებს წინასწარი მუშაობა პროექტის შესადგენად შემოქმედ—ოზურგეთის ცხენის რკინის გზის (კონკის); მოხდენილია მუშაობა ტეხნიკურ საბუთების გამოკვლევაზე და შედგენაზე ოზურგეთის რკინის გზის (სამი ეგზემპლიარი). შედგენილია გეგმა ხიდისა მდინარე სუფსაზე (45 ს. ჯიქური); მდინარე გობაზოულზე—ხიდისთავთან (21 საჟ.); შედგენილია გეგმა საფეხოსნო ხიდის მდ. სუფსაზე სოფ. ნაგომარში. შედგენილია ლიხაურის ხიდის გეგმა (ბეჟუჯის); შედგენილია გეგმა ნატანებ-ოზურგეთ-საჯავახოს გზატკეცილის დარეცხილ უბნის შეკეთებაზე; შედგენილია გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წლ. შესაკეთებლად: ხელოვნური ნაშენების (და ტეხნიკური უბნების (აგრეთვე გზების გამოკვლევა). შედგენილია სკოლების გეგმა: ბაკანის დაწყებითი; შუხუთის სკოლის გადაკეთების შედგენილია გეგმა ძიმითის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ეზოზე; სოფ. მელექედურში პირ. დაწყ. სასწ. შენობისა; შედგენილია გეგმა ტელეფონის ქსელის გაყვანაზე მაზრაში და უკვე დაწყებულია მუშაობა; უკვე შეუდგნენ მაზრაში ქალაქთა შორის ტელეფონის გაყვანას, თანახმად პროექტისა ჯერ-ჯერობით ყველა თემები იქნება შეერთებული ქ. ოზურგეთიდან, შემდეგ კი ყველა სოფელი თავის თემთან და ამ რიგად ქ. ოზურგეთთან. მუშაობის დამთავრების შემდეგ ყოველივე თემი და სოფელი შესძლებს ლაპარაკს ქ. თბილისთან. რაც შეეხება საწყლო საქმეებს, განყოფილებას უხდება ადგილობრივ გარჩევა სადავო საკითხების, წყლის გადაყვანის რაოდენობის გამოკვლევა და მოწესრიგება. განყოფილებას თვით ცხოვრებამ დააკისრა აუარებელი საქმეები და არ გაივლის ისე დღე, რომ არ იყვეს მოთხოვნილება რაიმე ტეხნიკური რჩევის მისაცემად, პროექტის ან ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად.

(შემდეგი იქნება).

## „გორის ფონდის“ შემოწირულების ანგარიში.

აკეთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მოწაფეთა შორის შეიკრიბა 1901 მ. აქედან პირველმა კლასმა მოაგროვა 268 მ. და 10 შაური; მეორე კლასმა—502 მან. და 10 შაური; მესამე კლასმა—460 მ.; მეოთხემ—670 მან.

მასწავლებელთაგან თავიანთი წვლილი გამოიღეს: მღ. ლავრენტი წულაძემ, თამარა გოგიტიძემ, ელენე მეავანაძემ და ნინო ბ ქუნაიშვილმა, თვითეულმა—200 მ. და დარია თოხაძისამ—100 მან. —სულ 2801 მან., რაიცა გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

მღ. ლ. წულაძე.


## განცხადება.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ **30 მაისს** ამა წლისა შუადღის **3** საათზე ერობის საადგილ-მამულო განყოფილების ბინაზე **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა**, რომლითაც გაიცემა იჯარით ქალაქის ფარგლებში მდებარე **„ლაშის აბანო“**.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება **500** მანეთიდან, რომლის ნახევარი მსურველმა უნდა შემოიტანოს განყოფილებაში წინდაწინ.

ერობის გამგეობა.


რედაქტორი—კოლეგია.

გამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ერობის გამგეობა.